

## ბავშვისთვის გარემოს ორგანიზების ძირითადი პრინციპები:

### სათამაშო სივრცის გამოყოფა ბავშვისთვის:

ბავშვისთვის, განსაკუთრებით 0-3 წლამდე ასაკში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ბავშვს ცალკე საკუთარი ოთახი, მნიშვნელოვანია განვითარების შესაბამისი და უსაფრთხო სათამაშოები მოთავსებული იყოს სახლის რომელიმე კუთხეში და სასურველია არ ვუცვლიდეთ სათამაშოებს ადგილს, აუცილებელია ბავშვმა იცოდეს სადაა მისი კუთხე - სივრცე, სადაც შეუძლია თამაშით დაკავდეს, ეს არ ნიშნავს რომ მას არ შეუძლია სათამაშოების სხვა ადგილზე გადაგანა, თუმცა უნდა იცოდეს, სად დააბრუნოს სათამაშოები თამაშის დასრულების შემდეგ.



### სათამაშო სივრცის ორგანიზება:

მიუხედავად იმისა, ბავშვს აქვს თუ არა საკუთარი ოთახი, აუცილებელია მისთვის სივრცის გამოყოფა ან სათამაშო ზონების შექმნა სახლში, ზონები სასურველია იყოს შემდეგნაირად:

- აქტიური თამაშის ზონა - სადაც ბავშვს აქვს სხვადასხვა განმავითარებელი სათამაშოები (ასაწყობები, ლეგო, პირამიდა, თოჯინები, ცხოველები, ჭურჭელი...)
- ფიზიკური თამაშის ზონა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1 წლამდე, ხოლო სასურველია მინიმუმ 3 წლამდე ბავშვებსაც ჰქონდეთ - რბილი ხალიჩა, ბალიშები, თვითგორია, ბურთი და სხვა ინვენტარისთვის.
- სამაგიდო თამაშის ზონა - სადაც ბავშვი უნდა იჯდეს მაგიდასთან და შეეძლება გააფერადოს ან ხაგოს.
- კითხვის ზონა - სასურველია მყუდრო კუთხის მოწყობა ძირს დაფენილი სირბილით და ბალიშებით კითხვის დროისთვის.



სათამაშოების შესაბამისობა და რაოდენობა:

აუცილებელია ასაკის და განვითარების შესაბამისი სათამაშოების ქონა, მაგალითად 5 წლის ბავშვს არ უნდა ქონდეს კლარუნა სათამაშოები ან ჩვილის ასაკის წიგნები, პირამიდა, ბიჭსაც უნდა ჰქონდეს საშუალება სათამაშოებში მოიძიოს თოჯინა და ჭურჭელი, რომ ისწავლოს ფუნქციური თამაში და სოციალური მრუნვა.

რაც უფრო ბევრი სათამაშო აქვს ბავშვს, მით მეტად უჭირს არჩევა რა ითამაშოს, შესაძლოა თქვენ გქონდეთ ბევრი სათამაშო ოჯახში, მაგრამ უნდა მოახერხოთ სათამაშოების დახარისხება ისე, რომ ერთ ჯერზე 5-7 კატეგორიის სათამაშოზე მეტი არ იყოს ხელმისაწვდომი ბავშვისთვის (მაგალითად ერთ ჯერზე მაქსიმუმ ბურთი, ველოსიპედი, რამდენიმე წიგნი, ფაზლი, მანქანა, ცხოველები და ჭურჭელი) სხვა სათამაშოები სასურველია გქონდეთ დამალული, ისე რომ ბავშვმა არ იცოდეს მისი ადგილი და მას შემდეგ რაც ხვდებით რომ ღიად აღარ ინტერესდება არსებული სათამაშოებით, დაახლოებით 2-3 კვირაში ერთხელ შეანაცვლოთ გადანახული სათამაშოებით.

ასევე აუცილებელია ყოველ 6 თვეში ან მაქსიმუმ 1 წელში გადაიხედოს ბავშვის სათამაშოები, მოხდეს გენერალური განახლება, გადაყაროთ ყველა გატეხილი, ნაწილებდაკარგული ან „უსარგებლო“ სათამაშო.



სათამაშო სივრცის დალაგება:

აუცილებელია ბავშვს ყოველი თამაშის შემდეგ თხოვით ალაგება და შემდეგ ახალი სათამაშო ყუთის გადმოღება, რა თქმა უნდა ბავშვს ვთხოვთ, არ ვიყენებთ ძალდატანებას და ჩვენ ვიწყებთ დალაგებას - ვთხოვთ დაგვეხმაროს და ვაჩვენებთ მაგალითს, აუცილებელია რომ ეს პროცესი ჩვენც სიამოვნებით ვაკეთოთ, რომ ბავშვმაც დაუკავშიროს სასიამოვნოს და არა ძალდატანებას.

სასურველია ამასაც მივცეთ თამაშის სახე, მაგალითად შევვჯიბროთ ვინ უფრო სწრაფად ან მეტ ნაწილს ჩაყრის, როდესაც ოდნავ მაინც ერთეუბა პროცესში, თქვენ ყოველთვის უნა შეაქოთ, გადაუხადოთ მაღლობა დახმარებისთვის, როდესაც არ გეხმარებათ თქვენ არ გუქსათ ან არცხვენთ მას, უბრალოდ აჩვენებთ მაგალითს, შესაძლოა გაიხსენოთ - „როგორი დამხმარე იყავი გუმინ“ თუ წინა დღეს დაგეხმარათ ალაგებაში, ან როგორ გიჭირთ მარტო დალაგება და სხვა.

ასე ბავშვი ბუნებრივად ეჩვევა წესებს, რომ სათამაშოს შენახვა ყოველთვის არ ნიშნავს თამაშის დასრულებას, ეჩვევა წესს რომ ერთი სათამაშო უნდა დავაბრუნო, თუ მეორე სათამაშოთი მინდა თამაშის დაწყება.

როცა ბავშვს ეშლება და სხვა დეგალს სხვა ყუთში დებს, ჩვენ მის დასანაად ვდებთ დეგალს სწორ ყუთში და თან ახმოვანებთ „ცხოველებს ვდებთ ცხოველების ყუთში“, მით ბავშვი ბუნებრივად სწავლობს საგნების კლასიფიკაციას და დახარისხებას ზომის, ფერის, ფუნქციის ან კატეგორიის მიხედვით.

ასეთ დროს პაგარა ასაკიდანვე მშობლები აკეთებენ ბავშვისთვის სწორ აქცენტებს, ქმნიან წესრიგის დემონსტრაციას და არიან თანმიმდევრულები, რაც აძილებს ბავშვს, მიბაძოს მშობლებს. ამ უნარის გამომუშავების დრო არის მაქსიმუ 3 წელი, თუ ბავშვი 3 წლამდე მიეჩვია თავისი სივრცის ორგანიზებას, მას შემდეგ ასაკში უკვე ექნება თავის გარემოს დალაგების მოთხოვნილება და ეს იქნება მისთვის ბუნებრივი ქმედება, ამას ბავშვი 5 წლის ასაკში აღარ ისწავლის და მისთვის ეს ყოველთვის ბედმეტი პასუხისმგებლობის გოლფასი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი შესაძლოა მთელი დღით თამაშობდეს სათამაშოებით, ჩვენ ყოველი ძილის შემდეგ უნდა ვეცადოთ ერთიანი ან ჩვენი ძალისხმევით დალაგებული სივრცე დავახვედროთ, განსაკუთრებით 3 წლამდე ასაკში, რადგან ამ ასაკშია ყველაზე აქტიური წესრიგის აღქმის პერიოდი, როდესაც ბავშვებს აქვთ მოწესრიგებულობის ბუნებრივი მოთხოვნილება, რადგან მოწესრიგებული ოკუპაციური თერაპევტი

გარემო, საგნები თავის ადგილზე მათ აძლევს დაცულობის შეგრძნებას და მათ თავში არსებული ქაოსის „დალაგებას“

გარემოში წესრიგის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ღრობი წესრიგი, რაც გულისხმობს ბავშვის ცხოვრებაში რუგინის არსებობას და მის მიყოლას გარემოს მოწესიგება არ ნიშნავს მხოლოდ ნივთების დალაგებას, ეს არის მენტალური წესრიგი, ამ ქცევის გამომუშავებით ჩვენ ვეხმარებით ბავშვებს გადავიდეს ეს ავტომატურ ქცევაში, რაც გააუმჯობესებს მათ თვითრეგულაციას, წესებისადმი მორჩილების და ორგანიზებულობის, თვითმენეჯმენტის უნარებს.



სათამაშოების ორგანიზება:

აქედან გამომდინარე სასურველია სათამაშოები ღვაალაგოთ სხვადასხვა ფუნქციის მიხედვით. სათამაშოების ორგანიზებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ შესაძლოა დაგვჭირდეს:

- თაროები ან დანაყოფებიანი კარადა
- გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე ყუთების გამოყენება
- ღია ყუთები და თავსახურიანი კონტეინერები
- „ჭუჭყიანი თამაშებისთვის“ დიდი თასის ქონა ან კონტეინერებიანი მაგიდა მარტივად დალაგებისთვის





აუცილებელია სათამაშოების დაორგანიზება კატეგორიების მიხედვით და ასევე იმ პრინციპით რომ ღია და ყველაზე ქვემოთ იდოს ღილი / მსხვილი კატეგორიის სათამაშოები, ჩამკეტიან ყუთში (გამჭვირვალეში ან გაუმჭვირვალეში) შედარებით პატარა სათამაშოები (მაგ: კუბიკების ყუთი, მანქანები, ბურთები...) ხოლო უფრო ზემოთ კიდევ უფრო წვრილი სათამაშოები (ფაზლები და მისი ნაწილები, მძივები და თასმა, ფანქრები და ფურცელი...)

ის რაც გაფუჭებადია, გასაგები ან უფროსის მეთვალყურეობის გარეშე ბავშვისთვის საშიშია, სასურველია იდოს ბავშვისთვის ხელმიუწვდომე ადგილას (მაგალითად მაკრაგელი, წვრილი მძივები...), თუმცა გამჭვირვალე ყუთში, რომ ბავშვმა დაინახოს და მოუნდეს თამაში.



სათამაშოების დაორგანიზება ასევე შეუწყობს ხელს გამიჯნოთ დამოუკიდებლად თამაშის წახალისება და უფროსის ჩართულობა თამაშის განვითარებისთვის.

მაგალითად თუ ჩვენ ხელმისაწვდომ ადგილას ღია ყუთებში ჩავალაგებთ იმ სათამაშოებს, რისი თამაშიც ბავშვმა უკვე იცის (მაგ კსილოფონი, დოლი, ჭურჭელი, თოჯინის საწოლი და აქსესუარები) ჩვენ ამით ხელს

შევეუწყობთ ბავშვი მივიდეს და დამოუკიდებლად დაკავდეს თავისუფალი თამაშით, რაშიც შესაძლოა ჩვენც შევეერთდეთ ან ვაცალოთ დამოუკიდებლად თამაში, ჩვენი ჩართულობის გარეშე.

ხოლო თუ ბავშვისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომ ადგილას გამჭვირვალე, მაგრამ თავდახურულ ყუთში ჩავდებთ ისეთ სათამაშოებს, რომლის გამოყენება ჯერ არ იცის ბავშვმა და ჩვენი ჩართულობა სჭირდება (მაგ ლეგოები, ფაზლი, კუბიკები) ბავშვი მას შემდეგ რაც დაინახავს ყუთს და მოუნდება თამაში, იძულებული იქნება გვთხოვოს დახმარება მის ჩამოღებაში / გახსნაში და ჩვენც შესაბამისად გამოვყოთ დრო რომ დავეუქადეთ მას და დავეხმაროთ ამ სათამაშოების გამოყენების დასწავლაში, რადგან შესაძლოა დასჭირდეს მოდელირება ან ფიზიკური დახმარება რომ ისწავლოს მაგალითად როგორ გააგოროს მექანიკური მანქანა ან აწყობილ კუბიკებს მისცეს სახლის ფორმა.



**შენიშვნა: მასალა მომზადებულია მონტესორის მეთოდის პრინციპების გამოყენებით**